585/
978/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (445)

1978 წლის თებერვალი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (445) თებერვალი 1978 წ.

შინაარსი

განყოფილება პირველი

28. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ნ. ციციშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.
29. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ზ. მირიანაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.
30. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არგბული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.
31. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლებში ცვლილებათა შეტანის შესახებ.
32. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოქალაქეების მიერ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო შენობათა და ნაგებობათა თვითნებური აგებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.
33. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა 1979 წელს მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების დროებით შეწყვეტის შესახებ.

განყოფილება მეორე

34. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
35. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწალებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
36. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
37. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ნ. ჩარკვიანისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
38. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ამერიკაკაკაკის“ წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის, ამერიკაკაკაკის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს ბიბლიოთეკა

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამხედრო მოსამსახურეების, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების და საბჭოთა არმიის მოსამსახურეებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

39. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

40. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ვ. მელნიკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

41. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სამხედრო მოსამსახურეთა, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებისა და საბჭოთა არმიის მოსამსახურეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

42. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. მ. პაჭკორიის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

43. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. დ. ქარელიშვილის (ასტვაცატუროვის) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის დაჯილდოების შესახებ.

44. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. დ. წერეთლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

28 **ამხ. ი. ნ. ციციშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ირაკლი ნიკოლოზის ძე **ციციშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 1 თებერვალი.

№ 972—IX

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

29 **ამხ. გ. ზ. მირიანაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. გურამ ზაალის ძე **მირიანაშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 1 თებერვალი.

№ 973—IX

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

30 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის წევრებად გელა გიორგის ძე **ლეჟავა** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი და თემურ გიორგის ძე **ჟღენტი** — პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი.

განთავისუფლდნენ ამ კომისიის წევრის მოვალეობისაგან ილია შალვას ძე ზედგინიძე და ზურაბ აკაკის ძე ლომიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 9 თებერვალი.

№ 988—IX

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

31 საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლებში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების 29-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 7 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

52-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს მეორე ნაწილი და ამასთან დაკავშირებით ამ მუხლის მესამე, მეოთხე და მეხუთე ნაწილები ჩაითვალოს შესაბამისად მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებად;

53-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ის პირნი, რომლებიც სასჯელს იხდიან შრომა-გასწორების კოლონიებში და საპყრობილეებში, მათზე დარიცხული ხელფასიდან ანაზღაურებენ კვებისა და ტანსაცმლის ღირებულებას, გარდა სპეცტანსაცმლისა და სპეციალური კვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ღირებულებისა. ამ ხარჯების ანაზღაურების შემდეგ დარიცხული ხელფასიდან წარმოებს დაქვითვები აღმასრულებელი ფურცლებით და სხვა აღმასრულებელი დოკუმენტებით იმ წესით, რომელიც დადგენილია საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 434—438 მუხლებით. როგორც გამონაკლისი ამ წესიდან, არასრულწლოვანი ბავშვებისათვის გადასახდელი ალიმენტები გამოიანგარიშება მსჯავრდებულის მიერ გამომუშავებული მთელი თანხიდან, შრომა-გასწორების დაწესებულებათა შენახვის ხარჯების ასანაზღაურებელი ნაწილის ჩათვლით, და დაეკავებათ ამ ხარჯების ანაზღაურებამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 17 თებერვალი.

№ 991—IX

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

32 მოქალაქეების მიერ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო შენობათა და ნაგებობათა თვითნებური აგებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ დადგენილი ნებართვის ან სათანადოდ დამტკიცებული პროექტის გარეშე, ანდა პროექტისაგან არსებითი გადახვევით, ან ძირითადი სამშენებლო ნორმებისა და წესების უხეში დარღვევით მოქალაქის მიერ აგებული სამეურნეო და საყოფაცხოვრებო შენობა და ნაგებობა სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად უნდა დაანგრიოს თვითნებურად ამშენებელმა მოქალაქემ, ან იგი დანგრეულ უნდა იქნეს მის ხარჯზე.

2. დაწესდეს, რომ მოქალაქე, რომელსაც ბრალი მიუძღვის სამეურნეო და საყოფაცხოვრებო შენობის და ნაგებობის თვითნებურ მშენებლობაში, თუ ეს ქმედობა არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით, დაჯარიმდება ადმინისტრაციული წესით თანხით 50 მანეთამდე სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების მიერ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 23 თებერვალი.

№ 1002—IX

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

33 1979 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების დროებით შეწყვეტის შესახებ

„1979 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების დროებით შეწყვეტის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 24 იანვრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. რჩევა მიეცეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს განიხილონ საკითხი მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერისათვის მზადებისა და აღწერის პერიოდში, 1978 წლის 3 ივნისიდან 1979 წლის 1 მაისამდე, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეწყვეტის შესახებ.

2. დაევალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს 1978 წლის 1 ივნისიდან 1979 წლის 1 მაისამდე ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში ცვლილებები არ შეიტანონ ქუჩების სახელწოდებებსა და სახლების ნუმერაციაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 23 თებერვალი.
№ 1001—IX

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

34 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის დროს მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“**:

მეხტი შუქურის ძე **მეხტიევი** — ქ. მარნეულის პროფესიული სახანძრო ნაწილის უფროსი.

ჰასან აკპერის ძე **პერევერდიევი** — ქ. მარნეულის პროფესიული სახანძრო ნაწილის განყოფილების მეთაური.

კახრამან ვალის ძე **კახრამანოვი** — ქ. მარნეულის № 92 პროფესიული სახანძრო ნაწილის მეხანძრე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 9 თებერვალი.
№ 982—IX

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲩᲠᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

35 ᲛᲔᲓᲚᲘᲗ „ᲬᲧᲐᲚᲬᲐᲦᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

წყალწაღებულის გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით „საქკოლმეურნემშენის“ წულუკიძის რაიონული სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი გურამ ალექსანდრეს ძე **ჭავჭანიძე** დაჯილდოვდეს მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ᲚᲐᲨᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისი, 1978 წლის 9 თებერვალი.

№ 981—IX

ᲩᲠᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

36 ᲛᲔᲓᲚᲘᲗ „ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით, მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“** დაჯილდოვდნენ:

მიხეილ ივანეს ძე **ალიოშინი** — პოდპოლკოვნიკი.
იშხან გარიბის ძე **ბაღდასარიანი** — ლეიტენანტი.
ნიკოლოზ პეტრეს ძე **გოლენკოვი** — პოლკოვნიკი.
ვლადიმერ პავლეს ძე **კურორჩკინი** — მაიორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ᲚᲐᲨᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისი, 1978 წლის 17 თებერვალი.

№ 994—IX

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

37 ამხ. კ. ნ. ჩარკვიანისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს ამხ. კანდიდ ნესტორის ძე **ჩარკვიანს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 17 თებერვალი.

№ 990—IX

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

38 ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სამხედრო მოსამსახურეების, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების და საბჭოთა არმიის მოსამსახურეებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საბჭოთა არმიის რიგებში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით, მიენიჭოთ საქართველოს სსრ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის:

დავით ბორისის ძე **ბუტმანს** — პოდპოლკოვნიკს.
ვლადიმერ ივანეს ძე **ლაგუტკინს** — პოდპოლკოვნიკს.
ვლადიმერ სტეფანეს ძე **ტაკუევს** — პოლკოვნიკს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის:

ერვანდ გასპარის ძე **მუსაელიანს** — საბჭოთა არმიის მოსამსახურეს.
ნადეჟდა დიომიდეს ასულ **ჩაიას** — საბჭოთა არმიის მოსამსახურეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის:

ოლღა პავლეს ასულ **ასეევას** — საბჭოთა არმიის მოსამსახურეს.

საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების საპატიო მუშაკის:

მარიამ ვასილის ასულ **ლოკოტკოვას** — საბჭოთა არმიის მოსამსახურეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:

მოსე ბორისის ძე **მერკინს** — პოლკოვნიკს.
ბორის გრიგოლის ძე **ქვარაიას** — პოლკოვნიკს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის:

ელენე მიხეილის ასულ **ტერიევას** — საბჭოთა არმიის მოსამსახურეს.
ტატიანა ივანეს ასულ **შარაშიძეს** — საბჭოთა არმიის მოსამსახურეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის:

ალექსანდრე ვასილის ძე **კირიუხინს** — პოლკოვნიკს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ პასუხისმგებელ რედაქტორს.

დიმიტრი ვიქტორის ძე **ჟუკს** — პოლკოვნიკს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ პროპაგანდის განყოფილების უფროსს

საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის:

თათეოს არამის ძე **სტეფანიანს** — საბჭოთა არმიის მოსამსახურეს.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის:

შალვა დიმიტრის ძე **ბურთიკაშვილს** — პოდპოლკოვნიკს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 17 თებერვალი.

№ 997—IX

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

39 საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომართა და საქართველოს სსრ მშრომელთა პატრიოტული, ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით, მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის:

ნათელა გიორგის ასულ **მკერვალიძეს** — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის:

ვიტალი იოსების ძე **ხალავჩუკს** — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის უფროსს — სამხატვრო ხელმძღვანელს.

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის:

მიხეილ ალექსანდრეს ძე **გალკინს** — თბილისის საოლქო ოფიცერთა სახლის უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 17 თებერვალი.
№ 995—IX

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

40 ამხ. პ. ვ. მელნიკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებების შესახებ

აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის და საბჭოთა შეიარაღებული ძალების 60 წლისთავთან დაკავშირებით გენერალ-პოლკოვნიკი პავლე ვასილის ძე **მელნიკოვი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 9 თებერვალი.
№ 989—IX

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

41 **ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სამხედრო მოსამსახურეთა, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებისა და საბჭოთა არმიის მოსამსახურეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

მიღწეული წარმატებებისა და საბჭოთა არმიის რიგებში უმწიკვლო სამსახურისათვის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

გივი დიმიტრის ძე **ამირხანაშვილი** — კაპიტანი.
ვლადიმერ მიხეილის ძე **იაკოვლევი** — პოლკოვნიკი.
ვლადიმერ იაკობის ძე **კალისტი** — გენერალ-მაიორი.
ემილია ირეოდიონის ასული **ლაზარევა** — საბჭოთა არმიის მოსამსახურე.
პავლე ეფრემის ძე **მალომანი** — გენერალ-მაიორი.
როსტომ ტარიელის ძე **ნიორაძე** — პოლკოვნიკი.
ვიქტორ ალექსანდრეს ძე **სოლოვიოვი** — პოდპოლკოვნიკი.
ნიკოლოზ დიმიტრის ძე **სპიჩაკი** — პოდპოლკოვნიკი.
იგორ ვასილის ძე **ტრუნოვი** — პოლკოვნიკი.
ვალერი მიხეილის ძე **ტურლაევი** — პოდპოლკოვნიკი.
იური ლეონიდეს ძე **ფოტინოვი** — გენერალ-მაიორი.
დიმიტრი გრიგოლის ძე **შკრუდნევი** — გენერალ-ლეიტენანტი.
ვლადიმერ გრიგოლის ძე **შუვალოვი** — გენერალ-მაიორი.
ნიკოლოზ ივანეს ძე **ჩებიკინი** — პოლკოვნიკი.
სტანისლავ ნაპოლეონის ძე **წკაბელია** — კაპიტანი.
ვალერი ივანეს ძე **ხუკალენკო** — პოდპოლკოვნიკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 17 თებერვალი.

№ 996—IX

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

42 ამხ. ო. მ. პაჭკორიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი ოტო (ოტია) მიხეილის ძე **პაჭკორია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო** სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 17 თებერვალი.

№ 1000—IX

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

43 ამხ. ე. დ. ქარელიშვილის (ასტვაცატუროვის) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი ერემია დარჩოს ძე **ქარელიშვილი (ასტვაცატუროვი)** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო** სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 17 თებერვალი.

№ 993—IX

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

44 ამხ. გ. დ. ფერეთლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, პოეტი გიორგი დავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის ძე **წერეთელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 17 თებერვალი.
№ 992—IX

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1978 წლის 9 თებერვლის სხდომაზე მოისმინა საკითხი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ამბროლაურისა და თეთრი წყაროს რაიონებში.

აღინიშნა, რომ ამბროლაურისა და თეთრი წყაროს რაიონების სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის დადგენილებების მოთხოვნათა შესაბამისად მეტ ყურადღებას უთმობენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ საქმეში კვლავ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია.

მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი სათანადო კონტროლის დაუწესებლობისა არასაკმარისი მომთხოვნელობის გამო გათვალისწინებული ღონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილი განუხორციელებელი რჩება.

მთელ რიგ შემთხვევებში აღმასკომები გადაწყვეტილებებს იღებენ საკითხების სათანადოდ, წინასწარ შესწავლის გარეშე, მათ მომზადებაში აქტიურად არ მონაწილეობენ დეპუტატები და მუდმივი კომისიები. გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ზოგადია, არ არის დაწესებული შესრულების ვადები, არ არის გამოყოფილი პასუხისმგებელი შესრულებაზე.

ხშირად აღმასკომები ქმედით ზომებს არ იღებენ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ზოგჯერ კი გადაწყვეტილებები არარეალურია, რის შედეგადაც ბევრი მათგანი არ ხორციელდება. არის შემთხვევები, როდესაც აღმასკომებს ერთსა და იმავე საკითხზე განმეორებით უხდებათ გადაწყვეტილებების მიღება.

თეთრი წყაროს საქალაქო და სასოფლო, აგრეთვე ამბროლაურის რაიონის სასოფლო საბჭოების აღმასკომების უმეტესობა სესიებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს არ აცნობს შემსრულებლებს.

ორივე რაიონის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები დიდი დაგვიანებით ან სრულებით არ ატყობინებენ აღმას-

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რულებელ კომიტეტებს გადაწყვეტილებათა შესასრულებლად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ თეთრი წყაროს და ამბროლაურის რაიონსაბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ზოგჯერ იღებენ არასწორ, კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს.

ამბროლაურისა და თეთრი წყაროს რაიონების სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სესიებისა და აღმასკომების გადაწყვეტილებების შესრულების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ თვით აღმასრულებელი კომიტეტები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ამ მნიშვნელოვან საქმეს, არ იყენებენ რაიონული საბჭოს შესახებ კანონით მინიჭებულ უფლებებს, ვერ ახორციელებენ აუცილებელ ორგანიზატორულ მუშაობას მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციისათვის. ამ საქმეში ნაკლებად მონაწილეობენ მუდმივი კომისიები. გასულ წელს არც ერთ მუდმივ კომისიას არ შეუმოწმებია საბჭოების სესიებისა და აღმასკომების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობა.

თეთრი წყაროს რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე ამბროლაურის რაიონის მთელი რიგი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ინფორმაციას არ აწვდიან დეპუტატებს წინა სესიაზე და სესიებს შორის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

გასულ წელს რაიონულ საბჭოებს არც ერთხელ არ შეუმოწმებიათ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობა ქვემდგომ საბჭოებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა ამბროლაურისა და თეთრი წყაროს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების არასაკმარისი მუშაობა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

მათ დაავალათ:

მიიღონ გადამჭრელი ზომები დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებების დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის;

უზრუნველყონ მიღებულ გადაწყვეტილებათა უთუო შესრულება;

რეგულარულად შეამოწმონ და სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე განიხილონ ქვემდგომი საბჭოების აღმასკომების, განყოფილებების, სამმართველოების, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშები სესიებისა და აღმასკომების გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას ყველა რგოლში, გააძლიერონ თითოეული მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობა დავალებათა შესრულებისადმი;

მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატები და მუდმივი კომისიები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში, აცნობდნენ დეპუტატებს წინა სესიებზე მიღებული გადაწყვეტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებების, აგრეთვე სესიებს შორის აღმასკომების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობას;

— სისტემატური დახმარება გაუწიონ ქვემდგომი საბჭოების აღმასკომებს მუშაობაში, პერიოდულად ჩაატარონ საბჭოების მუშაკთა თათბირ-სემინარები საბჭოთა მშენებლობისა და საბჭოების პრაქტიკული საქმიანობის ცალკეულ საკითხებზე, რეგულარულად შეამოწმონ, თუ როგორ სრულდება ქვემდგომი საბჭოებისა და აღმასკომების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ სისტემატური კონტროლი დაწესონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობაზე და სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად განიხილონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის საკითხი.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა აგრეთვე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის ინფორმაცია თეთრი წყაროს რაიონის ორბეთის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს ინიციატივის შესახებ საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარების თაობაზე.

აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შედეგად, რომლებითაც დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი საქართველოს მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად გადაქცევისათვის, მეცხოველეობა თეთრი წყაროს რაიონში, ისევე როგორც ბევრ სხვა რაიონში, საერთო-სახალხო ზრუნვის საგანი გახდა.

თეთრი წყაროს რაიონის ორბეთის სასოფლო საბჭოს დეპუტატებმა გადაწყვიტეს პრაქტიკული საქმეებით გამოხმაურებოდნენ მეცხოველეობის განვითარებისათვის გაჩაღებულ საერთო-სახალხო ლაშქრობას. სოფლის ყრილობაზე მიღებულ იქნა დადგენილება, რომ საზოგადოებრივ მეურნეობებს მხარში ამოუდგნენ პირადი დამხმარე მეურნეობები. „ცხოვრობ სოფელში — იყოლე პირუტყვის ნორმის მაქსიმუმი!“ — ასეთი იყო ორბეთელ მშრომელთა წამოწყების დევიზი.

თუმცა ორბეთელთა ამ წამოწყებიდან დიდი დრო არ გასულა, მაგრამ აქ პირუტყვის სულადობა შარშანდელთან შედარებით მაინც საგრძნობლად გაიზარდა. ბევრი ორბეთელი მომხმარებელი მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებელი გახდა.

საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარებაში ინდივიდუალურ მეურნეობებს დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც გასულ წელს პირად სარგებლობაში არსებული პირუტყვის გამოსაკვებად გასცა 1.626 ცენტნერი თივა, 1.107 ცენტნერი ნამჯა, გამოყო საძოვარი.

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორბეთელთა ამ წამოწყებას ფართოდ გამოეხმაურა თეთრი წყაროს რაიონის ყველა სასოფლო საბჭო, ყველა მშრომელი. მათ განიხილეს ეს თაოსნობა გაფართოებულ სესიებზე. მეცხოველეობის განვითარებამ პირად დამხმარე მეურნეობაში თავისი შედეგი გამოიღო, დროის მოკლე მონაკვეთში რაიონში საგრძნობლად გაიზარდა პირუტყვის სულადობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თეთრი წყაროს რაიონის ორბეთის სასოფლო საბჭოს თაოსნობა ხელს შეუწყობს საკარმიდამო მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას, აამაღლებს მეცხოველეობის პროდუქტიულობას, შექმნის საფუძველს მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ამასთან ერთად უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თეთრი წყაროს რაიონს ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვი და შესაძლებლობა გააჩნია მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის, მათი მაქსიმალურად ამოქმედება და ხალხის სამსახურში ჩაყენება უფრო მეტად შეუწყობს ხელს რესპუბლიკაში მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვისათვის გაჩაღებულ ბრძოლას.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამავე სხდომაზე განიხილა საკითხები: საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1977 წლის შედეგების შესახებ, 1977 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ ანგარიშის თაობაზე, საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის სახელზე მიღებული მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ და სხვ.

ყველა განხილულ საკითხზე მიღებულ იქნა სათანადო დადგენილება.

საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 9 თებერვლის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოდა 243 მრავალშვილიანი დედა:

ქ. თბილისის ლენინის რაიონიდან	18
„ კიროვის „	4
„ 26 კომისრის „	3
„ პირველი მაისის „	1
ქ. რუსთავიდან	10
ქ. ფოთიდან	2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ქუთაისიდან	5
ახალქალაქის რაიონიდან	26
ახმეტის „	15
ბორჯომის „	5
გორის „	7
დმანისის „	20
ვანის „	4
ზუგდიდის „	11
თელავის „	3
კასპის „	37
ლაგოდეხის „	11
მესტიის „	12
ორჯონიკიძის „	2
ყვარლის „	11
ჩოხატაურის „	2
ცხაკაიას „	9
წალკის „	21
წითელწყაროს „	2
წულუკიძის „	2

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 9 თებერვლის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოვდა 1710 კაცი:

ქ. თბილისის ლენინის რაიონიდან	714
„ კალინინის „	129
„ ოქტომბრის „	164
„ საქარხნო „	170
ქ. ფოთიდან	34
ქ. ქუთაისიდან	79
ქ. წყალტუბოდან	29
ამბროლაურის რაიონიდან	21
ბოგდანოვკის „	4
ბორჯომის „	52
დმანისის „	15
დუშეთის „	31
თელავის „	25
კასპის „	25

ქ. ბაქურის სახ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მახარაძის	„	57
სამტრედიის	„	30
ცაგერის	„	15
ცხაკაიას	„	107
წალკის	„	6
წულუკიძის	„	21